ლო ხანებში ქართველ საბჭოთა ესთეტიკოსებთან დადგენილებას აქვეყნებდნენ. მ. დულუჩავა და ფილოსოფოსი ნ. ჭავჭავაძე 1961-1965 წლებში მ. დულუჩავამ ქართულ საბჭოთა პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებიდან შეიძლება საესებო გასეველი შემდეგდება ეჭვიანი ესთეტიკურის ავტორისეულ ინტერპრეტაციასზე. ეს განსაკუთრებით ითქმის წერილებზე „ესთეტიკურის შესახებ“.<sup>33</sup> 1962 წლის აპრილში საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციამ გამოაწყო დისკუსია თმაზე „ესთეტიკურის არის მხატვრულ შემოქმედებაში“, სადაც მომხსენებელმა მ. დულუჩავა იყო. დისკუსია იმით იყო სასარგებლო, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს ფილოსოფოსებმა, ესთეტიკოსებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა. კამათის მსვლელობაში გამოითქვა საესებო სწორი მოსაზრება, რომ მოხსენებაში მთელი რიგი საესებო სახეობის ახლებურად და გახელულად არის გეშუქებული, რაც იმის მიმასწავებელია, რომ საბჭოთა ესთეტიკური თეორიის დიდიწილი იყარუნების ახლანდელი ვითარების შესაბამისად დაიწყო ზოგიერთი დიგნატიკური თვალსაზრისის გადასინჯვა და ახლებურად გააზრება.<sup>34</sup>

მოხსენების ძირითადი დებულებები დადიო საფუძველად მ. დულუჩავას წერილს „ხელოვნების ესთეტიკური არის შესახებ“.<sup>35</sup> რომელშიც მ. დულუჩავა აკრიტიკებს და საესებო სწორად, ა. ბურლიას დებულებას ხელოვნების რაღაც საესებო ფიქურ (ესთეტიკური) ხელოვნების შესახებ. მართებულია აგრეთვე აზრი, რომ ხელოვნების ესთეტიკურის არის გასალებს წარმოადგენს კ. მარქსის ცნობილი ფორმულა ადამიანის მოღვაწეობის „სილამაზის კანონების მიხედვით“, მაგრამ ვერ დავითანხმებთ ავტორის იმბრე, რომ ესთეტიკურის სუბიექტიური ბუნების განსაზღვრა შეიძლება მიღწეულ ექნას მხოლოდ ამ თვალსაზრისის (ე. ი. რეალისტურის როგორც სინთეტიკური მოვლენის) განვითარებით.<sup>36</sup> ეს განმარტება მომდინარეობს ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის იმ შეტყობიდან, რომ მიენიერება წარმოადგენს უმთავრესად და უპირველეს ყოვლისა ანალიტიკურ მოვლენას, ხოლო მარქსიზმს (მასსა-დამე ესთეტიკური) — სინთეტურს. განა მარქსიზმის კლასიკოსების შრომები კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შესახებ არ წარმოადგენს ანალიტიკურსა და ამავე დროს სინთეტურს, მთლიანს.

ადამიანი შექმნიერების, ტექნიკის, მორალის, სიმართლისა სხვათა მეშვეობით ითვისებს სამყაროს გარკვეული კანონების მიხედვით, მაგრამ „სილამაზის კანონებს“ შესაბამისად სინამდვილის ათვისება წარმოადგენს ხელოვნების სუბიექტიურ თვისებებს და ესთეტიკის, როგორც შექმნიერების მიყენების ძირითადი სფეროს.

ავტორს უნდადადოდ მიანიჩა ხელოვნების სუბიექტიურ საგნად ადამიანის სინამდვილისაშიც ესთეტიკური დამოკიდებულების აღიარება.<sup>37</sup> თავის წერილში მ. დულუჩავა ათავსებს მხატვრულს, მშვენიერებას და ესთეტიკურს, იმ დროს, როდესაც ესთეტიკური მართალია, შეიცავს მხატვრულსაც და მშვენიერებას, მაგრამ ამ ცნებაში არ დაიცავება, უფრო ფართო თაობის საესებოთა და მნიშვნელობით.

სოციალისტური რეალისტის ლიტერატურისა და ხელოვნების ზრდა-განვითარებისათვის ლენინური ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება იყო სკკპ XXIII ყრილობაზე

<sup>33</sup> ქორნალი „მწიბობი“, № 11, 1961, წ. ავ. 156-162.

<sup>34</sup> იხ. „ლიტერატურის განვითარება“, 1962 წლის, № 12, 20 აბრ-

<sup>35</sup> ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საესებოთა, თბილისი, 1963, გვ. 3-32.

<sup>36</sup> იხ. ურწმუნო „მწიბობი“, № 11, 1961, გვ. 162.

<sup>37</sup> იხ. ურწმუნო „მწიბობი“, № 11, 1961, გვ. 159.

<sup>32</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი — აღრიწველი ნაწარმოებებიდან. 1956, რუსული გამოცემა, გვ. 566 (ხაჯასა ნემო — ნ. კ.).

ჩვენი ხალხის სულიერი აღზრდის საშუალებებისადმი უდიდესი ყურადღება.

დიდი ამოცანებია დასახული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის წინაშე კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. სასებულო ბუნებრივია, რომ კომუნისტური მშენებელი ადამიანის ფორმირებაში უფრო მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გზად ესთეტიკური აღზრდის საკითხები. ესთეტიკური აღზრდა პარტიის მიზანია მასების კომუნისტური აღზრდის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად.

ასეთ პირობებში განუზომლად იზრდება ლიტერატურათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, საბჭოთა ესთეტიკური ზრდების როლი, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრობლემათა მენეჯერული შესწავლა-დამუშავება, მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ესთეტიკური თეორია, ესთეტიკა როგორც მეცნიერება მოწოდებულია ხელი შეუწყოს პარტიის პროგრამის იმ დებულებების განხორციელებას, რომლის თანახმად კომუნისტური დროს „მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთამბეჭობელი იქნება შრომისა, გაამყვინებებს ყოფაცხოვრებას და გაავითლებს ბილბეს ადამიანს“. ეს დებულება უშუალოდ დაკავშირებულია კომუნისტური მშენებელი ადამიანის ესთეტიკური იდეალის პრობლემასთან. იმასთან თუ როგორ უნდა შეიხას ხორცი ახალი ადამიანის ზნეობრივმა პრინციპებმა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ბუნების საგნებისა და მოვლენების ობიექტური თვისებების გასარკვევად ჩვენ მუდამ უნდა ვიხელმძღვანელოთ სახეების მატერიალისტური თეორიით, სახეების ლენინური თეორიით. ვ. ი. ლენინი, ლაპარაკობდა რა დიალექტიკისა და კლასიკტიკის განმარტავებელ ნიშნებზე, აღნიშნავდა, რომ ყოველ საგანს აქვს უამრავი თვისება, ანუ ნიშანი, ანუ მხარე, ურთიერთდამოკიდებულება და „გამეფევევა“ მთელ სამყაროსთან. ვ. ი. ლენინის ეს დებულება გამოსავალ პუნქტად უნდა იქნას აღებული ბუნების საგნებისა და მოვლენების ქ. ვ. „ესთეტიკური თვისებების“ გარკვევისა და მათი არსის დადგენისათვის.

სტალინის-განსვლითის თეორია საგნების ქ. ვ. „ესთეტიკურ თვისებათა“ შესახებ სწორედ იმით არის მისაღები, რომ მან საგნების თვისებებიდან ამოარჩია ისეთები, რომლებიც ჩვენი გარემოსა და გარემოსის ფიზიკონალებურ მხარეზე მოქმედებენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი უმართებულოა, როდესაც ამ „ესთეტიკურ თვისებებს“ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში განიხილავს. მშენებელი, როგორც ესთეტიკური კატეგორია ადამიანის დამოკიდებულად არსებობს ბუნებაშიც და ხელოვნებაშიც. რაც შეეხება ამაღლებულს, კომიკურს, ტრაგიკურს, როგორც ასეთებს, ჩვენ მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელოვნებაში ვხედავთ. ხოლო ხელოვნებაში, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა სინამდვილისადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულების უმაღლესი გამოხატულებაა.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ისეთ საზოგადოებას, რომელზედაც წინათ ყველა დროისა და ხალხის მოწინავე ადამიანების მხოლოდ იცნება შეეძლო.

მხოლოდ კ. მარქსმა, ე. ენკელსმა და ვ. ი. ლენინმა შექმნეს მყარებული კომუნისტური თეორია, გავჩვენეს ახალი საზოგადოების დამყარების რეალური გზები, ის რეალური ძეგლები ძალბო, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ დაენგრაბათ ყველი

სამყარო, აემუნებინათ სოციალური და დიდი კომუნისტი.

სწორედ სოციალიზმი და კომუნისტი წარმოადგენენ პროგრესული კაცობრიობის საზოგადოებრივ იდეალს, ისეთ წყობილებას, რომელშიაც სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, შექმნილია ყველა პირობა ცალკეული პიროვნებისა და, მამასადამე, მთელი საზოგადოების პარზონირული განვითარებისათვის. ამრგად, საბჭოთა ხალხის ასახავს რა კომუნისტი, კომუნისტურ იდეალს, თავდადებით იბრძვის მისი სულიერი განხორციელებისათვის.

ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალი მოიცავს როგორც თავის შემადგენელ ნაწილებს — ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალებს. ესთეტიკური იდეალი წარმოადგენს პიროვნების, მთელი ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების თავისუფალ, კონკრეტულ-ისტორიულ პირობებისათვის ყველაზე უფრო სრულყოფილ, ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. ეს იდეალი თავის განხორციელებას პოულობს ამა თუ იმ სოციალურ გუგუის, კლასის შეხედულებებში, წარმოდგენებში, განსაკუთრებით რელიგიურად კი ხელოვნებას და ლიტერატურაში. ესთეტიკური იდეალი კონკრეტული, ისტორიული კატეგორიაა, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კვალობაზე იგი ნორმის, მიზანების ნიშნად იცვლება. ცხოვრებასა და ხელოვნებაში მშვენიერების ობიექტურ კრიტიკურად წარმოადგენს.

კარგა ხანია ცნობილია, რომ არსებობს სილამაზის, მშვენიერების ორი ფორმა. ერთი მამარტულია სახით ძილველი ადამიანის ბუნებაში, ხოლო მეორეს თვით ადამიანი ქმნის. ძირითადი განსხვავება მშვენიერების ორ ფორმას თუ სახეობას შორის ის არის, რომ „ხელოვნური“ სახეებით გამოიხსნული, ადამიანის მიერ ბუნებაზე მოქმედების შედეგია, ადამიანის შეგნების შედეგია, რომელიც არა მარტო სასახავს სამყაროს, არამედ ქმნის კიდევც მას, ხოლო პირველი („ბუნებრივი“) ბუნების სტიქიური მოვლენების მოქმედების შედეგია. ამდენად ჩვენ მიგაჩნია, რომ მშვენიერება და მამასადამე ესთეტიკურიც, არსებობს როგორც ბუნებაში ადამიანისათვის დამოუკიდებლად, ისე რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენი აზრით, ესთეტიკა წარმოადგენს მცენებრებას, რომელიც შესწავლის სინამდვილეს „სილამაზის კანონების მიხედვით“ და ხელოვნებას, როგორც სამყაროს ესთეტიკური ათვისების უმაღლესი ფორმა.

ესთეტიკა კარგა ხანია გასცდა წმინდა თეორიული კვლევის ფარგლებს, იგი ღრმად შეიჭრა წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში. ახლა ხშირად გვემის ისეთი ცნებები, როგორცაა ტექნიკური ესთეტიკა, საწარმოო ესთეტიკა, შრომის ესთეტიკა, ყოფაცხოვრების ესთეტიკა და ა. შ. ვ. ი. ესთეტიკა თეორიული სფეროდან პრაქტიკულ სფეროშიც დამკვიდრდა. ეს გარემოება უფრო დიდ ანიცხავს უსახავს ესთეტიკას, როგორც მცენებრებას, ესთეტიკურ თეორიას სახელმძღვანელო პრინციპების გამოუმუშავების საკეში.

ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის ზოგადი კანონების, ბუნებასა და საზოგადოებაში ესთეტიკურის შესწავლა-დარგობის ძალზე კარგი მცენებრება, მატერიალისტური, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, რომელსაც მართა-თაა ჯერ კიდევ ბერის საკამათო, გადამტყობი პრობლემები გააჩნია, მაგრამ სინამდვილეს არ უნდა „დაგვარყვიონ ფარმხალა“ და უფრო გაზედულად უნდა გვათავსო სადავო, საკვანძო საკითხების დასმა და მათი გადაჭრა.

ჯემალ ხუციშვილი  
მოხუცები



## ხალხურ ოსტატთა ნაჩვენებე

ირაკლი კივანძე

მანანა ბობოხიძე

გიორგი



**ს**

აქართველოს სურათები ის სახელმწიფო გალერეაში ამასწინათ მოეწყო თვითნასწავლი მხატვრებისა და ხალხური ოსტატების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის 25-ე წლისთავს მიემდინა. ფართოდ იყო ექსპონირებული ყველა დარგი: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, კერამიკა, მხატვრული ქსოვა, ხეზე შრა, ჭედურობა, რქის მხატვრული დამუშავება...

კერამიკის ნიმუშთა შორის მწახველთა ყურადღება დაიმსახურა ნატიფი გემოვნებით შესრულებულმა ნამუშევრებმა, რომელთა ავტორები არიან ოსტატი-კერამიკოსები: გ. ჩიკვილაძე, გ. ლიკოელი, ნ. რაზმაძე, პ. ვაშაქიძე, მ. მგელაშვილი. ხისაგან გამოკეთილი ნაწარმოებებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნ. იაკობიძის შეკად ექსპრესიულმა „მანაკაცის თაგვი“, რომელშიც ჩანს მახვილი დაკვირვება, ბავშვის ხასის გადმოცემის ოსტატობა. მოხდინილადაა შესრულებული ქართული ხალხური საკრავი ინსტრუმენტები კ. ცანავას მიერ. საგამოფენო დარბაზს კოლორიტულ ელფერის აძლევდა ეროვნული მხატვრული ქსოვის ნიმუშები, რომლებიც საქმის ცოდნით და სიყვარულით შეუქმნიათ ხალხურ ოსტატებს.

ადრინდელი გამოფენებისაგან განსხვავებით (ასეთი გამოფენა სულ ხუთჯერაა მოწყობილი) უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი ჭედურ ხელოვნების ნიმუშები. ბევრი ავტორის ნამუშევარი იქცევა ყურადღებას მხატვრულობით. კერძოდ ს. გირგლიძის ჭედურფილები, აგრეთვე ბ. რაჭველიშვილის „ზ. ვარსამაშვილის, ა. გაგოლაძის, ვ. რურუას და თ. ჭავჭავაძის ჭედურობანი. გ. გვირგვინის ჭედური ხელოვნება სხვადასხვა ავტორთა გაცოდნის კვლას ატარებს. მისი „აგაფ-ფაშაელის პორტრეტი“ სტილით და შესრულების მანერით ი. ოჩიაურის „ფიროსმანსა“ მოგვაგონებს.

ს. გირგლიძის ხელოვნება შავიოთ ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული. მას მჭიდრო კავშირი აქვს ძველი ოსტატების ტრადიციებთან. ეს ჩანს მხატვრის გრაფიკასა და ჭედურ ხელოვნებაში. ინტერესს იწვევს მის მიერ შესრულებული სხვადასხვა გრაფიკული ნამუშევარი.

გრაფიკული პორტრეტების გვირდით ეხვადით შეკად საინტერესო ჭედურფილებს. მათში ხიანს ახლის ძიება, რაც სხვადასხვა მასალების — ხის, ლითონის, რქის და საწითლის ორიგინალურ შერწყმამი გამოიხატება. შედეგად ვიღვით ფრიად საინტერესო დეკორატიულ ნაწარმოებს. ყურადღების ღირსია გირგლიძის ფერწერაც, რომელშიც მხატვარი სუფთა აკაპაროსის ტექნიკას მიმართავს და ქმნის ლირიკული განწყობილების დეკორატიულ მოტივებს.

გამოფენის მონაწილე ზოგიერთ მხატვარს ეჩვენება სხვა-დასხვა ავტორთა და მიმდინარეობების გაკლენა, მათი ნამუშევრები მოკლებულია ინდივიდუალურ ხედვას. ამ მხატვრებს უპირისპირდება ა. ალადაშვილის მართალი, გულწრფელი და დამოუკიდებელი ხელოვნება. მშვენიერია მუქ მწვანე გამაში შესრულებული „მწვანე კონცხი“ და „საძვარეუკი“.

სტილისტური მილიანობა, გააზრებული კომპოზიცია, ფერთა თავისებური აღქმა ახასიათებს ვ. რურუას ფერწერულ ტილოებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფერწერული კომპოზიცია „მეგობრები“, რომელიც უშუალოდ და სისადავით ნახ ემოციებს აღძრავს ჩვენში. გამომსახველია მის მიერ შესრულებული „ნატურმორტიც“.

ეგროპული მხატვრებისა და იაპონური მინიატურების გავლენა ეჩვენება ვ. რურუას გრაფიკულ ნამუშევრებს — „ქუჩის მუსიკოსი“ და „მსახიობის ოჯახი“.

კვლავ გაგვახარა, ვ. ხუციშვილმა თავისი ორიგინალური ღრმად ფოთვნილი ფერწერული ტილოებით: „მოხუცები“, „დავისცენოთ“ და „ოჯახი“, რომლებშიც ავტორი მყარი კომპოზიციითა და მეტყველი სახეებით დიდ გამომსახველობას აღწევს.

ფერთა ლირიკული შეხამებით, სამყაროს ფანტასტიკური ხილვით გვიჩინებს მ. ბობოხიძის ტილოები: „მეოცნებე“, „სვედანარევი სიყვარული“ და „ცდუნება“. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს დ. მენაბდის ნამუშევრები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული „მთიელი ქალმწილი“, რომელიც თბილ ლირიკით გამოირჩევა. განწყობილებით სავსეა უ. ხუშარაშვილის „ბრმა მუსიკოსი“ და „ქართული გულთბილობა“. გემოვნებითაა შესრულებული ვ. ვარაზის „ნატურმორტი“, მეტყველია ი. კაკაყიძის „აჭარელი გლეხი“. აღსანიშნავია აგრეთვე პ. კერვალიშვილის დეკორატიული ესკიზები თეატრისათვის.

ხალხური თვითმოქმედების რესპუბლიკური ფესტივალის მორგანიზაციო კომიტეტმა გამოფენის მონაწილე მხატვრებსა და ხალხურ ოსტატებს პრემიები მიანიჭა:

ფ რ წ რ ა შ ი — I პრემია ხედა ვ. ხუციშვილს, II — ვ. რურუას, ვ. მარსაკიშვილს, III — ს. ტატიშვილს.  
გ რ ა ფ ი კ ა შ ი — პირველი და მეორე პრემია არ გაცე-




ვახტანგ რურუა

მეგობრები

სიკო გირკელიძე

ტუსალეზი



მულა. III პრემია ხედათ ა. მესხს და დ. მენაბდეს.

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა შ ი — I პრემია მიიღო შ. მარადაშვილმა, II — გ. ქელიძემ, III — გ. ფუტყარაძემ და დ. ნაგროზაშვილმა.

ხ ი ს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა შ ი I პრემია მიიღო ვ. საღალიანმა, II პრემია — ა. მინასიანმა.

ჭ ე დ უ რ ბ ა შ ი — II პრემია ხედათ ს. გირკელიძეს, თ. ქავთარაძეს, გ. ავსაჯანიშვილს, რ. ფერადეს.

მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ქ ა რ გ ვ ა შ ი II პრემია მიიღო ნ. წიგლაურმა და ნ. არაბულმა, III პრემია — თ. მოსაიძემ და ა. პრელაშვილმა.

სიკო გირკელიძე

ურბელი





## ქვე მუხეხლობაში

იური მაჩაიძე



აკობრიობის კულტურის ისტორიაში სამშენებლო ქვის ისტორიას ვეროვანი ადგილი უკავია. ათეული ათასი წლები გვაშორებს იმ პერიოდს, როდესაც ადამიანმა აითვისა ბუნებრივი ქვის დამუშავების ტექნიკა და აღმართა ქვის პირველი შენობა.

ამ დიდებული მასალისაგან დამზადებული ნაკეთობები, დაწყებული ქვის პირველი იარაღიდან, დამთავრებული ხუროთმოძღვრული ძეგლებით, ჭანდაკებებით, დეკორატიული ხელოვნებითა და საიუველირო საქმით, მოწოდებენ დიდი ხელოვნების ტრადიციებს. ბუნებრივი ქვის დაუფასებელი ღირსებები გამოყენებულა სიფაქიზით, სიყვარულითა და ოსტატობით.

პირველ მსოფლიო ომამდე სამთამადნო წარმოების საქონელბრუნვაში ბუნებრივ ქვას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რკინის, მარილის, ფერადი ლითონისა და სათბობი მასალის შემდეგ.

1936 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ფერადი ქვის მოპოვება მთელ მსოფლიოში 250 მილიონ ოქროს მანეთად ფასდებოდა, ბრუნვა კი მილიარდნახევარს აღწევდა. საყურადღებოა მუშების სტატისტიკაც. ომამდე 2 მილიონი მუშა მუშაობდა ქვის დამამუშავებელ წარმოებებში და 1 მილიონი კი მშენებლობებზე იყო დაკავებული, დეკორატიული ქვის დამუშავებაზე და ქვის ჭრაზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუნებრივი ქვის გამოყენებას საომარი მიზნებისათვის. მთის ბროლს, აქატს, ნფრიტსა და საფიროს ფართოდ იყენებდნენ შენელებული მოქმედების ბომბებში. გარდა ამისა, ბუნებრივი ქვის დიდი რაოდენობა ხმარდება თვითმფრინავებსა და საჰაერო ხელსაწყოებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში არანახული მასშტაბით გაიზარდა საიუველირო საქმე, რომელშიც მხოლოდ ნარჩენებს იყენებენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუნებრივი მოსაპირკეთებელი კვება კვლავ ფართო გამოყენებაშია. ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიუხედავად იმისა, რომ აქვს თავისი მარმარილო, 200-ზე მეტი სახეობის ქვა შემოიპქს სხვადასხვა ქვეყნიბიდან. იტალიაში, მაგალითად, ახლა ბუნებრივი მოსაპირკეთებელი და დეკორატიული ქვის მოპოვება-დამუშავებაზე 1000-ზე მეტი წარმოებაა დაკავებული.

არც ერთ ხელოვნურ მასალას არ გაჩანია ის კომპლექსური ღირსებები, რაც აქვს ქვას. მეორეს მხრივ, ქვის მოპოვების ახალი საშუალებების გამოყენება, დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგია და ავტომატიკა, შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შეამცირონ ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ფილების თვითღირებულება და ფასი. ცნობილია აგრეთვე, თუ რამდენად რენტაბელურია ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვა ექსპლოატაციამო.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენში აიკრძალა მაგარი ჯიშის ქვების მოსაპირკეთებლად გამოყენება, რამდენადაც მიანდათ, რომ იგი ეკონომიური თვალსაზრისით არ იყო ნიხანმეწონილი. თუმცა, ვიმეორებ, — ქვა სახიათვება დიდი გამძლეობით და ამ თვისების გამო ექსპლოატაციამო შეუდარებლად მომგებიანია.

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყანა ერთ გრანდიოზულ სამშენებლო პოლიგონად იქცა. მშენებლობის უდიდესი მასშტაბები და ინტენსიურობა, ბუნებრივია, იწვევს საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო ნაგებობების ტიპიზაციას. ეს მოვლენა კანონზომიერია, ვინაიდან მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია წარმოდგენილია ტიპიზაციის გარეშე, ხოლო ინდუსტრიალიზაციის კერძე წარმოდგენილია მშენებლობის ტექნიკაში. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ტიპიზაციას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი ხუროთმოძღვრები ბევრს მუშაობენ ტიპიზაციის

პრობლემების გადასაჭრელად. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი — განაშენიანების ერთსახიანობა ჯერ კიდევ გადაუჭრელია. დღეს ერთი და იგივე ტიპის სახლების განმეორება კომპლექსების ძირითად სტრუქტურად იქცა. ინდუსტრიალიზაციის პირობებიდან გამომდინარე, რაიონულ და მიკრორაიონებში ერთი ტიპის შენობებით განაშენიანება 70-80% უდრის. (ეს დამახასიათებელია სასუღარკეთილის საცხოვრებელი რაიონების და მიკრორაიონების განაშენიანებისთვისც.), მაგრამ ამ შემთხვევაში მოხერხებულობა, სილაშქვა და ეკონომიკრობის აღწევნა მშენებლობის ხარისხით, ფერადი საღებავებით და მოსპირკეთებელი მასალით. სამუშაოდ, ჩვენ ბუნებრივი ქვის მასალებით მოპირკეთებას გავურბივართ, რადგან ქვა ძვირია. დღეისათვის კვადრატული მეტრი ზედაპირის კერამიკით მოპირკეთება 2 მანეთი ჯდება, იმ დროს, როდესაც მარმარილოთი — 5 მანეთი, ხოლო ფერადი მარმარილოთი ათჯერ მეტი, გრანიტით — 40 მანეთი და მეტი. ციფრები, რასაკვირველია, ქვის მასიურად გამოყენების იდეის საწინააღმდეგე მტკიცებულებენ, მაგრამ ნუ გამოვიტანთ ნაჩქარევ დასკვნას და გადავხედოთ ამ მხრივ ჩვენს „ეკონომიას“ ექსპლოატაციას.

შშირად, ეკონომიის თვალსაზრისით, გრანიტის მაგივრად ასფალტის იატაკს ვაგებთ. რასაკვირველია, მცდუნებელია ნაცვლად 40-50 მანეთის ღირებულების, კვადრატული მეტრი იატაკი 2-3 მანეთი დაჯდეს. მაგრამ ექსპლოატაციას, განსაკუთრებით იმ ობიექტებზე, სადაც ინტენსიური მოძრაობაა (მეტროში, სადგურებში, დიდ მაღაზიებში და სხვ.) ეს იწვევს სახსრების განიჯებას და არა ეკონომიას, რამდენადაც საჭიროა ღდება საფარი ნაწილის ხშირი ხელახალი შეკეთება. ასეთივე დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ექსპლოატაციაში პოლისტირული, მოხაკიერი და სხვა იატაკების ხარჯების დაპირისპირებაშიც.

ყოველწლიურად მილიონობით მანეთი ინხარჯება ფსახების ნაწილობრივი განახლებისათვის. სარემონტოდ გამოყოფილი თანხები ვერ აკმაყოფილებს საერთო მოთხოვნილებებს. თუ განვიხილავთ სწინებთ, რომ ამ „ფერუმარილზე“ უამრავი თანხა ინხარჯება, ასეთი „ეკონომია“ მივიყვანს იქამდე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იძულებული ვიქნებით სახსრების დიდ ნაწილს ვხარჯოთ არა ახალი მშენებლობისათვის, არამედ აგებული შენობების მართებულ მდგომარეობაში შენახვისათვის.

დროა ანალოზი გავუკეთოთ მსგავს „ეკონომირობას“ და შევისწავლოთ მშენებლობის ანალოგიური საკითხები.

ამ უკანასკნელ ხანს გატაცებული ვართ მსატრული კერამიკული ნაწარმობებით. თითქმის ვერ ნახავთ ოჯახს, რომ რაიმე კერამიკული ნაკეთობა არ გააჩნდეს. ეს ბუნებრივია. კერამიკული კომბინატების გაძლიერებას და წარმოების წინსვლას ამ სახეობის განვითარება მოჰყვა. მაგრამ განა გამოყენებით ხელოვნებაში ქვას ნაკლები როლის შესრულება შეუძლია? იგი თინახე არანაკლებ მორჩილია, გასართობი ან ფუფუნების საგანი კი არ არის, არამედ თიხის მსგავსი მასალა, რომელსაც თაყვის ადგილი უნდა მიუენიოთ. ქვა არ აღმორჩლება ძვირი, თუ მისი მოვევლით, იგი, თუ შეიძლება

ასე ითქვას, ისეთივე ფასებში უნდა ამშენებდეს ჩვენს ყოვას, რა ფასებშიც ვეგმსახურება თუნდაც — კერამიკა. ამისათვის საჭიროა წარმოება და მისი ყოველდღიური გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ სამამულო წარმოების ქვისმჭერე-ლი მანქანა სტოლიარების კონსტრუქციით დიდი პოპულრობით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე, საბჭოთა სპეციალისტებისათვის ინტერესთვლული არ იქნება შეიქმნას ფირმა „ფერნანდ პერიეს“ მიერ გამოშვებული ანალოგიური მანქანები.

ვერობის ქვეყნების ქვის დამამუშავებელი წარმოებების მექანიზაციის საერთო დონე, ერთი შეხედვით, ისეთივეა, როგორც ჩვენი, მაგრამ შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის ხარისხი და პროდუქციის თვითღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ჩვენში. ამაში არ არის არავითარი საიდუმლოება. როგორც ვთქვით, ქვის დამამუშავებელ წარმოებებში მიწოდებული ბლოკები მიდროგარისხოვანი და დილია, ნაკეთობათა დამამუშავების ტექნოლოგია პრაგრესულია, გამოყენებულია თანამედროვე მაღალწარმოებულური ქვისდამამუშავებელი მანქანები და დაზუგები, განხვავებული მცირე მეტალი და ენერჯო ხარჯებით. მანქანები და დაზუგები აღკაშრულია მაღალექტური ალმასის ინსტრუმენტებით. ფართოდაა გამოყენებული მიდროგატარები ავტომატური მართვისა და რეგულირებისათვის, რათა მაქსიმალურად შეამცირონ დამატებითი ოპერაციები.

იმისათვის, რომ წარმატებით იქნას დამამუშავებელი ჩვენს ქვეყანაში ქვის მოპოვებისა და წარმოებისადმი ხუთწლიანი გეგმით წაყენებული გაზრდილი მოთხოვნილებები, საჭიროა რადიკალური ზომები. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და კერძოდ ტრესტ „საქმარმარილოს“ დიდი დამხარება უნდა გაუწიოს საქართველოს სსრ საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რათა აღვადგინოთ ბუნებრივი ქვის მოპოვებისა და დამამუშავების ჩამორჩენილი წარმოება.

ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალის დიდი მარაგი გვაქვს, მაგრამ უნშიზრუნელო რაოდენობით ვიძიებთ. რასაც ვიძიებთ, ამაშიც ზარალბის წარმოება, თვითღირებულება კი უტახნალად იზრდება. იმისათვის, რომ ლიკვიდირებული იქნას მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების ჩამორჩენა და უზრუნველყოფილი იქნას ქვის მრეწველობის განვითარება, დამამუშავებელ ქარხნებს უნდა მივაწოდოთ სრულყოფილი, მაღალწარმოებულური, ავტომატურიზებული დაზუგები და მოწყობილობები, ალმასის ინსტრუმენტები. სამუშაო პროექსი მაქსიმალურად უნდა იყოს მექანიზებული, რათა გამოერცხოთ ხელით შრომა.

არსებული სახერხი დაზუგების პარკების წარმადობის გასაზრდელად ხერხების დროს ელექტროენერჯის ხარჯების შესამცირებლად, მოსაპირკეთებელი ფორების სისქედ უნდა მივიღოთ 20 მმ. ამით შეცირდება ხარხების მუშაობის დრო და გაზრდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. ამასთან, ქვის დამამუშავებელ ქარხნებს უნდა მივაწოდოთ დიდი გაბარტების მქონე ბლოკები. ნაცვლად 1,5-2,0 კმ მეტრისა 4-4,5 კმ მეტრის მცოვლობის, რაც საშუალებას მოვეცემს

გაეზარდოთ შტრიფსიანი ჩარხების პარკების წარმადობა 2-2,5-ჯერ.

საწარმოო მასალების ნარჩენების ფართოდ გამოყენების მიზნით, კარიერებზე და ქვის დამამუშავებელ ქარხნებში უნდა აშენდეს სპეციალური სამჭროები მოზაიკური ფილგების და სამზადებლად.

ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების სახესხვაობა აურაცხელია, უამრავია კარიერიც, მაგრამ კარიერი იშვიათად მოგვცემს ერთ და იგივე ხარისხისა და ელფერის პროდუქციას. ორი განსხვავებული ადგილი ერთსა და იგივე კარიერზე არ იძლევა ერთი სახის მასალას. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ადგილი, დამუშავებული სხვადასხვა ეპოქაში, განსხვავებულ პროდუქციას იძლევა. ბუნების ამ მარგალფეროვნებაშია ქმედითი ძალა და ხელოვნური ქვის შემქმნელი ამოდ ცდილობენ წაბადვას.

ბუნებრივი ქვის შეფერილობა, ნახატი, ზომა, შემადგენლობა, სიმყფე, ხარისხი და სხვა განაპირობებს სხვადასხვა მიზნებისათვის მის გამოყენებას. ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ არქიტექტორებმა და ზუსტად მოუძებნონ თავისი ადგილი ყოველ ქვას, ამასთან არ ასწონ მისი თვითღირებულება. ეს ღონისძიებები ხელს შეგიწყობს მნიშვნელოვნად აწეოთ ქვის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონე და დაეწიოთ ნაკეთობის თვითღირებულება, რაც საშუალებას მოგვცემს ფართოდ გავალოთ ბუნებრივი ქვის გამოყენება მშენებლობაში.

აუცილებელია აღიკვეთოს საბადოების მტაცებლური დამუშავება და ქვის კარიერებისადმი უდიერი დამოკიდებულება. წარმოებები და ორგანიზაციები, რომლებსაც არ აქვთ სამთო ზედამხედველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და გეოლოგიური სამმართველოს ნებართვა მოსაპირკეთებელი მასალების საბადოების დამუშავებაზე, უნდა აეკრძალოთ ქვის მოპოვების წარმოება. ყოველგვარი ტიპის ბუნებრივი მოსაპირკეთებელ მასალათა საბადოების დამუშავება სასურველია დაეკეზმდებაროს მხოლოდ ტრესტ „საქმარნარილოს“, სადაც გამოცდილი კვალიფიციერებული კადრები არიან და გააჩნიათ საბადოების წესიერი დამუშავების ტექნიკური საშუალებები.

მოსაპირკეთებელი მასალების ასორტიმენტის გაზრდის მიზნით, აუცილებელია გაფართოდეს საძიებო სამუშაოები ახალი საბადოების გამოსავლინებლად. საჭიროა მარაგების დამტკიცება იმ საბადოებზე, რომლებიც ამჟამად არ არის ძიების პროცესში.

სასურველია რეკლამა გაეწვიოს საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელ ქვებს, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ, რათა მას გამოყენების ფართო გზა მიეცეს და გაიზარდოს მასზე მოთხოვნის ხარისხი.

დასახლებული და კიდევ სხვა მრავალი ღონისძიების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს მისაწვდომი გაგზადოთ ბუნებრივი ქვა მასიური მშენებლობისათვის. ის რდო უნდა იყოს „ძვირფასი ქვა“ — აკრძალული მშენებლობაში, არამედ შემოქმედებითი ნააზრვის განხორციელების მშენიერ მასალად უნდა ვაქციოთ.

გზარდი

ხელოვნანი

ამირან ჩხარტიშვილი



ღეს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მხატვარი შთაგონებით შრომობს მშობლიური ხელოვნების სარბიელზე. მათ შორისაა ლევან ცუცქერიძეც. თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე, სხვადასხვა გამოფენებზე მონაწილეობით, ლევანმა იმთავითვე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება. 1958 წელს კი მან ჯერ არქიტექტორთა, შემდეგ ხელოვნების მუშაკთა სახლში ნამუშევართა პერსონალური გამოფენები მოაწყო და კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი.

ლევან ცუცქერიძეს ბუნებრივად მომადლებული ნიჭისა და მხატვრობის ფანატიკური სიყვარულის გარდა უდიდესი შრომისმოყვარეობაც ახასიათებს, რის გარეშე წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. მას არ სწევია მიზნისაკენ იოლი გზით სიარული, ბევრს და დაუღალავად ეძებს. მისთვის არ არსებობს კომპოზიციაში მნიშვნელოვანი და ნაკლებ მნიშვნელოვანი — ერთნაირ გულისხმობას ამტკიცებს ყოველი დეტალისადმი, ისწრაფვის ფორმის სრულყოფილი გადაწყვეტისაკენ, აშალაშინებს უკვე ნაპოვს და ასე გამოაქვს ხალხის სამსჯავროზე.

ლევან ცუცქერიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მოკვიადა ხელი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მხატვრულ გაფორმებას. ეს რთული ამოცანა სადიპლომო ნაშრომში უნდა გადაეჭრა. ამ პირველსავე ნამუშევრებში ნათლად გამოჩნდა მისი აზროვნების თავისებურება. მხატვარი, მართალია, ძირითადად ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე, მაგრამ ილუსტრაციებში საკუთარი განწყობილება შეაქვს.

ამ ნამუშევრებში მან ჯერ კიდევ ვერ მიაღწია პლასტიკურ სრულყოფას და ამიტომ შემდეგში კვლავ უზრუნდება ვაჟას შემოქმედებას, ქმნის „ალუდა ქეთულაურის“ ილუსტრაციებს, რომელიც ამ ნაწარმოების გამოცემაში შევიდა. ეს იყო მხატვრის დიდი წარმატება. ყვითელ ფონზე, აგურისფერ გამაში გადაწყვეტილ ლაიონურ და დაბეწვილ კომპოზიციებში, ცოცხალი და ძლიერი ფიგურები ზუსტად გვაგრძობინებენ იმ განწყობილებას, რომელიც დიდი მწერლის ნაწარმოებში გამაძვლებული. ეს მეტად დინამიკური, შინაგანად დაძაბული, გარეგნულ ვიწვეჭტ მოუღებულ ფიგურები მინუშენტირია და პლასტიკური.

ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მხატვარი მონაწილეობს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მიერ დავით გარეჯის კედლის მხატვრობის შესასწავლად მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში. აქ იგი ასრულებს როგორც ზუსტ, ასევე თავისუფალ ასლებს. მის მიერ გადმოღებული ქრისტეს ფიგურა ვედრების კომპოზიციიდან (VIII ს.) ამჟამად ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია. ამავე დროს მხატვარი მოგზაურობს მთა-თუშეთში, აკეთებს ჩანახატებსა და პორტრეტების სერიას.

მხატვარმა პირველი დიდი ფერწერული ნამუშევრის — „დროების“ სიუჟეტზე მთიულთა ყოფიდან აიღო. სურათში იგრძნობა ქართული ფრესკული მხატვრობით გატაცება. ნაწარმოები სწორედ ამ ტექნიკითაა დაწერილი.

ტემპერით შესრულებული ეს კომპოზიცია ერთ პლანშია გადაწყვეტილი. პატარა, თეთრი სუფრის ირგვლივ რიტმულად შემოკრებილი არიან მშვიდი, სხვადასხვა შინაგანი მოძრაობის გამომხატველი ფიგურები. სურათის აღქმა იწყება კუთხეში მაყურებლისკენ ზურგიით მიქცეული ფიგურებიდან. ამ პერსონაჟის ყურადღება მიმართულია ანფასში მოცემულ ფიგურათა სახეებისაკენ. ფიგურის ზურგი მკვრივი, მოცულობითი და ძლიერია. იგი ცენტრალური ფიგურის ფუნქციას ასრულებს კომპოზიციაში. ცენტრში განლაგებულ ადამიანთა გამომეტყველება, მთელი იერი იმდენად ცოცხალი და გამომსახველია, რომ ვერ აჩნევს მარცხნივ წინა პლანზე მთელი ტა-

ქალშვილის პორტრეტი



ნით მოცემული ფიგურის მკლავისა და მკერდის ნახატის უზუსტობას. მარცხენა კუთხეში მოქცეულ მამაკაცთა ჯგუფს ზემოდან დასატყვის ფეხზე მდგომი ქალი. მომრავი და დინამიკური, იგი კონტრასტს ქმნის მარცხენა კუთხეში მჯდომ სტატკურ ფიგურებთან. საერთოდ მხატვარი თითქმის ყველა კომპოზიციაში მიმართავს მოძრაობის და სტატკის ასეთ

ქალის პროფილი





„ველოსმეპყლის“  
ილუსტრაცია

ერთმანეთთან პარმონიულად შერწყმული ფერების სურათში გამა იქმნება და ხელს უწყობს სურათის მონუმენტურ — სადღესასწაულო აღქმას. ეს ტილო ცუქერიძის ერთ-ერთი ძლიერი ნამუშევარია როგორც ტექნიკური შესრულების, ასევე კომპოზიციურ-პლასტიკური გადაწყვეტის თვალსაზრისით. წიგნის გრაფიკის დარგში მხატვრის შემდეგი ნამუშევარია ივ. გუგუნიას „თამარიანის“ და პოეტ ხუტა ბერულავას პოემის „ლეგენდა თბილისის დაარსებისა“ გაფორმება, რომლებშიც შემოქმედის დიდი სიყვარული და გატაცება იგრძნობა.

მხატვარი პლასტიკის ენით ყველა ლეგენდას, გადმოგვცემს თბილისის პირველი მოსახლეობის შრომით საქმიანობას. მიწის მოზიდვის სცენა ფრიზის სახით იშლება და თანმიმდევრულად ვითარდება. ყველა დეტალი კომპოზიციის თანბრად მნიშვნელოვანი ნაწილია. დინამიკით აღსავსე ეს სცენა მოყვითალო-მოიისფრო კოლორიტშია გადაწყვეტილი.

უკანასკნელ ხანებში მხატვრის მიერ დასურათებული წიგნებიდან გამოირჩევა მწერალ გრიგოლ ჩიჭოვანის მოთხრობების კრებული „შურისგება“.

დაზღერ ნანუშევრებს შორის საინტერესოა ადრინდელი, პასტილით შესრულებული ორფეგურიანი კომპოზიცია „მეგობრების შეხვედრა“, რომელიც გამოირჩევა ემოციური კოლორიტით, თბილი განწყობილებით. ცისფერ ფონს ოდნავ ეპარება მოწითალო ფერი, რომელთანაც შერწყმულია დაბლა, მარცხენა კუთხეში მიწაზე მჯდარი, ერთმანეთს მიკრული ორი ფიგურის შუქი ყავისფერი ტონი. კონტურით მოხაზული ფიგურები კარგად იხატება სიმრტყობრივად გადაწყვეტილ ფონზე. კომპოზიციური ალღო, რაც ასე ახასიათებს მხატვარს საერთოდ, იგრძნობა ამ ადრინდელ ნამუშევარშიც.

პროფესიულ დასელოვნებასთან ერთად იზრდება მხატვრის სწრაფვა სრულყოფილი ფორმისაკენ, რომელიც გამართულ, ძლიერ ნახატს ეყარება. მისთვის ფერი მხოლოდ დამხმარეა, მთავარია — ნახატი და მოცულობა. ფერს ხმარობს მუნწად, ნახატის გამოსავლენად, ამიტომ უფრო მეტად ფანქრით მუშაობს. ასეა შესრულებული „ეფესისტკაოსნის“ ილუსტრაციები.

„ეფესისტკაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა მხატვარმა ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს დაიწყო. ეს ნამუშევრები მან სადილობო ნაშრომად წარადგინა და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მაგრამ ილუსტრაციებზე მუშაობა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაამთავრა. ეს იყო მხატვრის ყველაზე ხანგრძლივი და მძიმე შრომა, რომელიც წარმატებით დასრულდა.

მხატვარმა 15 ილუსტრაცია შესრულა, ფანქრით ქაღალდზე. აქედან ორი პასტილით (ილუსტრაციების ზომებია: 70×50 ს. მ.), მათგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს შევხებით. ლეან ცუქერიძე, ხშირ შემთხვევაში, მიმართავს „ეფესისტკაოსნის“ იმავე ადგილების ილუსტრირებას, რომლებსაც მისი წინამორბედი დამსურათებელი. ეს არის პოემის საკანონო მომენტები, მაგრამ ამ ნამუშევრებში სრულიად ახლებურადაა დახმული პლასტიკური და სახეობრივი ამოცანები. მხატვარი გვერდს უხვევს „ეფესისტკაოსნის“ დასურათე-

დაპირისპირებას, რაც აცოცხლებს ამ ლაკონურ და დახვეწილ კომპოზიციებს. „დრობა“ ძალზე საინტერესოა კოლორისტული თვალსაზრისითაც. ჩანჩქალი მოლურჯო-მოყავისფრო ტონი ისეა შეხამებული ვანისფერ-აგურისფერთან, რომ



„თორნიკე ერისთავის“  
ილუსტრაცია

მის ასე თუ ისე ტრადიციულ გზას და თავის გადაწყვეტას გეტავაზობს. შესაძლოა ეს გადაწყვეტა სადაოც იყოს, მაგრამ მხატვრულობის მხრივ ნაწარმოებები მაღალ დონეზეა.

ილუსტრაციაში „ნახევ უცხო მოცმე ვინმე“ მარჯვნივ, წინა პლანზე ზედონი ტარიელის უკან სივრცეს მილიანად ავსებს ცხენის დინამიკური ფიგურა. ადამიანისა და ცხენის გამოსახულებები ისე ახლოსაა მოტანილი მაყურებელთან, რომ სურათზე სრულებით აღარ რჩება სივრცე და პაჩი. ფიგურის ამგვარად გამოსახვა, ცხადია, ითხოვს დახვეწილ, უნაკლო ნახატს, მკვრივ, მოცულობით ფორმას და შინაგან დინამიკას. ამ ილუსტრაციაში მხატვარი სწორედ ამ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას. მკვრივად, მოცულობითაა დამუშავებული ტარიელის მძლავრი ფიგურა. მონუმენტურობით, დინამიკით, ძლიერი ნახატი კომპოზიცია დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

გამომსახველია კომპოზიციაც „ლოცვა ავთანდილისა“. ლევან ცუცქერიძე მონუმენტური განზრის მხატვარია. მისი ფიგურები კომპოზიციაში ყოველთვის ისეა განლაგებული, მათი მოძრაობა ისეთი მკაფიო და ძლიერია, რომ ისინი სივრცის, სიძლიერის განსახიერებანი არიან. ამ ილუსტრაციაში თუმცა მხოლოდ ერთი ფიგურაა, მაგრამ შექმნილია მთლიანი, შვერული და ძალზე ექპრესიული კომპოზიცია. ჩამუხლული, სალოცავად მარჯვენა გაწვილი ავთანდილი, წინ მიმართული მთელი სხეულით ძლიერ მოძრაობაშია მოცემული. უკანა პლანზე გამომხატული ცხენის მოძრაობა ხაზს უსვამს ავთანდილის მოძრაობას და უფრო დინამიკურს ხდის მას. ეს კომპოზიცია ცუცქერიძის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს შორის ყველაზე ძლიერი ნამუშევარია.

სხვა ილუსტრაციებიდან გამოირჩევა ავთანდილის თინათინთან დამშვიდობების სცენა. კომპოზიციის ცენტრში გამოხატულია თინათინი. იგი ისეთი ნაზი, ფაქიზი და ქალურია, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. დახვეწილი, მკვრივი, საერთო მოცულობით გადმოცემული ნახატი ქანდაკს ჰგავს. ფონისგან მკვეთრად გამოყოფილი, რელიეფური ფიგურა უაღრესად პლასტიკური და პერფორანია. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს კომპოზიციის მარცხენა კუთხეში ავთანდილის ძლიერი, მასიური ფიგურა, რომელიც ნახევრად შემოდის კომპოზიციაში. მხატვარი აქაც ზუსტად გრძნობს კონტრასტის ზომიერებას. მან ეს დიდი, მკვრივი ფიგურა მთლიანად იმითომ არ ჩასვა კომპოზიციაში, რომ არ დარღვეულიყო წონასწორობა.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს თხელი სამოსი აცვიათ. მხატვარს არ სურდა სქელი ტანსაცმლის ნაოჭების ქვეშ დამავალა ლამაზ სხეულთა ფორმები, არ აინტერესებდა ეთნოგრაფიული სიზუსტის დაცვა რუსთაველის დროინდელი სამოსის ფორმის გადმოცემისას. იგი ისწრაფვოდა პლასტიკის საშუალებით გადმოეცა პოემის იდეური შინაარსი, გამოეკეთა ნესტანის, ტარიელის, თინათინის და ავთანდილის სახეები. კომპოზიციებში ზედმეტი დეტალების შეტანა მხატვარმა არა ცნობს საჭიროდ. მართლაც, ნახატები ისეა დამუშავებული, რომ მნახველზე მხოლოდ და მხოლოდ პლასტიკამ უნდა მოახდინოს ზემოქმედება.

„თორნიკე ერისთავის“  
ილუსტრაცია



ლევან ცუცქერიძე მზარდი ხელოვანია. მის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ბერია დასახვეწი, საპოენი, გასაძლიერებელი, რასაც იგი თავისი უდიდესი შრომისმოყვარეობით მიადრწევს. მისი პროფესიული ოსტატობის ზრდა მომავალში ბევრ საინტერესო ნაწარმოებს გვაპირდება.

„თორნიკე ერისთავის“  
ილუსტრაცია





გიორგი ჩიტაია



წერალმა მ. ელიოზიშვილმა თავის „ბებერ მეზურნევი“ შუა ქართლის ძველ მეზურნეთა მომხმობელად, ცოცხალ ხასიათები შექმნა.

ეს სცენისათვის რთული ნაწარმოებია პირველად საქართველოს სსრ ხელოვნების დამახაზებულმა მოღვაწემ — ლილი იოსელიანმა დადა გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში. პიესა არ ჰგავდა კანონიკურ დრამას, არც კანონიკურ კომედიას. ამიტომ დამდგმელმა სპექტაკლს ელენია უწოდა — „ელენია გორელ მეზურნეზე“. ელენია — სვედიანი მოყვრება, სვედიანი ალერსი ნატარმაგვე, კეთილ მოხუცება.

— „მოხუცები გვეირვება, როგორც მოხუცებს ახალგაზრდები. მოხუცების გარეშე სულიერი საგანძური არ შეიძლება. მომავალმა თაობამ არ უნდა უკუაგდოს კარგი ტრადიციები, რაც ერის სულიერ სიღამაზე გამოხატავს. იგი მომავალ თაობებში უნდა გადავიდეს და მიიღოს თავისი განვითარება“ — ასე გვესაუბრა ლ. იოსელიანი და სწორედ ეს არის სპექტაკლის თეატრი აზრი.

სამ მოხუც მეზურნეს და მათ მეუღლეებს ბებრი რამ უნახავთ ცხოვრებაში. ერთს ბუნებამ უმჯუყნა (უშვილობით), დანარჩენებს ომებმა წაართვეს შვილები და დაჩაგრეს. მარტობას განიცდიან, მაგრამ მათი სულიერი სიღამაზე ანდამატივით იზიდავს ყველას, ვისაც მოუხდება მათთან ურთიერთობა, ასე მოხბობეს მათ თავიანთი ხელოვნებით პატარა ბიჭი (ირაკლი), მუსიკის მოყვარული, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული; შეიკვლევს და შვილივით მზრუნველობენ. მასში აქვთვე თავიანთი კაცთმოყვარეობის, იმედის, ამომავალი ვარსკვლავითი შესაბარია, მისი სახით სურთ აღზარდონ მომავალი თაობა — გადასცენ მას ყველაფერი, რაც კი კარგი გააჩნიათ, რაც შეუთვისებიათ. ეს მათ სიცოცხლეს სიღამაზეს, კეთილმოძღობას, მოქმედების მიზანს აძლევს, ობტინიზმსა და მოვალეობის გრძობას უღვივებს. შუად არიან სიკეთისა და პატივცემისათვის, კეთილად მოქმედებენ, კეთილად სჯიან.

სპექტაკლი ორიგინალურად იწყება: მაყურებელი ისმენს აგტორის — მ. ელიოზიშვილის ფირზე ჩაწერილ ხმას. იგი, შესალონის სახით, მოვითხრობს პიესის სამი გმირის — სოსას, ბუნუსას და თედოს ამბავს (აგტორი გვესაუბრება აგტრევი, ბოლო სურათის წინ).

პიესის ფაბულა მარტივია: სამ მოხუცს თავიანთი მეუღლეებითურთ უკვე საუკუნე შეუსრულდათ ძველ უბანში. დაბერდნენ აღმიაწებია და სახლებიც. ახალ ცხოვრებას, ქალა-

ქის ახალ ამბებს მოხუცები სხვებისაგან იგებენ ძველი მეგობრის (მეთევზე გოლა), ნაშვილები ბიჭისა და სხვა პირებისაგან, ცხოვრობენ ერთმეორის სიყვარულთ, შესაბარია მწეს, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს; ცხოვრობენ იმ იმედით, რომ კვლავ დაქირდება ხალხს მათი ხელოვნება, ისე არ დაიხოცებიან, რომ აღარ დაუკარან — ქორწილში, ნათლობაში, დღობებში...

და აი, მართლაც ეპატავებიან ბებერ მეზურნეებს. ქორწილიდან მოდის ნაქვიფარი მძღოლი და მანქანით მიჰყავს ისინი. გრძობენ — იქნებ ეს მათი გედის სიმღერა აღმოჩნდეს... ცოლები მზრუნველად აცილებენ ბერიკაცებს. იქ, ქორწილში კი იმედის გაკრუება ელით. „სტილიაგებია“ მათ ვერ უვებენ, მარტო დარჩენილები მაინც უკარვენ თავისი გულისა და სულისათვის, უკარვენ თავდავიწყებით, ილაკის გამოკლამდევლარ უძღებენ, თედო და ბუნუსა კვებდებიან. ასეთია ფაბულა.

აქ არც მოულოდნელი შემობრუნებებია, არც მძაფრი კოლიზიები. სპექტაკლს კი მაინც დიდი ინტერესით უყვებიან მაყურებელი იმიტომ, რომ ეს ფილოსოფიური სპექტაკლი ერთსა და იმავე დროს ღიმილისა და ცრემლის მომგვრელია, ცრემლისა და კვლავ ღიმილისა. ზურნა და დუღუკი აქ სულიერი სიღამაზის სიმბოლოა, ისე, როგორც ზეუ სიცოცხლის იმედისა.

დიდი პატივისცემა და სიყვარული იგრძობას სოსას, ბუნუსას და თედოს ურთიერთდამოკიდებულებაში, ისინი ერთიმეორისათვის ზრუნავენ, საერთო აზრები და შეხედულებები აქვთ. ვერ იტანენ უსამართლობას, სიყრუეს, ძალადობას, ამაღლევებელია ცოლები მათთან სიყვარული და ერთგულება. ეს განსაკუთრებით ვლინდება სცენაში, როცა მოხუცი ქალები ქორწილში ამგზავრებენ მწრებს. ისინი მეზურნეების მიერ დაკარული საქორწილო მელოდიის ცეკვის რიტმით მიცურავენ და მისდევენ გზას, მანქანის სინათლით განათებულს. დაბრუნდებიან კი?! ეს უსიტყვო გამოთხოვებაა, რომელიც მაყურებელს წრავალსა და ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძობას აღუძრავს. დედაბრები მარტო რჩებიან (მომავალი მანქანის ფარის სინათლე უკანასკნელად გააშუქებს მათ ფიკურებს). და ბოლოს ღრმა ტკივილი, როდესაც ისინი ერთმანეთს მშვიდობის ღამეს უსურვებენ, თითქოს ერთმანეთს საყვარელად ეთხოვებიანო. ასე ფერადდაა გადმოხილილი ადამიანების სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

კიდევ ერთი ძლიერი და საყვარაღებო მოტივი, რომელიც წინ წამოსწია თეატრმა — ეს არის ახლის განვითარება ძველის საყუძველზე, რაც საკმაოდ რელიეფურად მოხანს სპექ-

ტაკლში. მეზურნეების მიერ აღზრდილი ბიჭის თხოვნით ბერიკაცები უკრავენ „ტუმს“. ყმაწვილი ტაქტში აყვება მას, თითქოს დირიჟორობას იწყებს, სწორედ ამ დროს წარმოიდგენს თუ როგორ დირიჟორობს იგი დიდ სიმფონიურ ორკესტრს (ისმის რ. ლადიძის შესანიშნავი „საჭადაო“). მეზურნეებმა ჩაასახეს მას მუსიკის სიყვარული, მაგრამ თანამედროვე მუსიკა სხვა, ახალ საფეხურზეა ასული. ამ ახალს ვწაფება ირაკლი...

ახლის განვითარება გამოხატული სპექტაკლის დამდგმელის მიერ ფინალურ სცენაში. მეზურნეების ძველი სახლები დაანგრეულია, მათ ადგილას მუსიკალური სასწავლებელია აშენებული, ისმის კლარნეტის ხმები, მაგრამ ეს ხომ დუდუკის განვითარება... ასეთი წმინდა რევისორული ხერხებიტაა ხაზგასმული ძველიდ ახლის დაბადება. მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე გიგონა მადლობის ნიშნად, მთვლემარე, მარტოდდარჩენილ თედოს, რომელიც ბოლოს მაინც სასწავლებლიდან გამოსულ მუსიკის ხმებს და სიცოცხლის სიმბოლოს — შუხე შეპხარის, ხელში ჩაუდებს ვარდს. ეს არის სპექტაკლის სიმბოლური, ბოლო აკორდი.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის შ. ხუციშვილის დეკორაციები. უკანა პლანზე გორის ციხის ხედია, წინა პლანზე ძველი რიკულებიანი სახლები, ტყე...

სპექტაკლს ლირიკულ და რომანტიკულ ელფერს მატებს გემოვნებით შერჩეული განათება, შუქ-ჩრდილი.

საუცხოვოა გ. გაგლოშვილის მიერ შერჩეული მუსიკა.

ძლიერად გამოიყურება მსახიობთა ანსამბლი. შესანიშნავია რუსბ. სახ. არტისტი შ. ხერხეულიძე თედოს როლში. როგორი კეთილშობილებაა მის დამოკიდებულებაში მეგობრებთან და როგორ სიამაყეს ავლენს იგი ტყეში „სტილიაგა“, ქარაფშუტა ახალგაზრდების მიმართ; შ. ხერხეულიძე შესანიშნავად მღერის და უკრავს დოლზე. ღრმად მართალი და შინაგანად პოეტურია რუსბ. დამსახ. არტისტი ე. კახინაშვილი ბუთხუზას როლში. სიმართლის უაღრესი დამცველი და ყოველად კეთილი — ასეთია მისი ბუთხუზა; მერე რა კოლორიტულად აცხადებს: „დაუკრავენ გორელი მეზურნეები. ციხისუნელი სოსა, ბუთხუზა და თედო. შენ დაუკა!“ ღრმად გააზრებულია სიკვდილის სცენა: დუდუკის დაკვრამი გაწმენდება, თითქოს სული აღმოხდა. წრფელად და დამაჯერებლად, ზომიერი ტაქტით ასრულებს სოსას როლს რუსბ. დამსახ. არტისტი ერ. არაქელიძე. მათ კარგ პარტნიორობას უწყვენ რუსბ. დამსახ. არტისტები: ნ. ბეროშაშვილი და ნ. ნოზაძე, აგრეთვე მსახიობი ე. მიციქელაშვილი. ისინი ბუნებრივად აერთიანებ დრამატოზმს და იუმორს.

ე. ხაჩიძემ (ირაკლი) კარგად განასახიერა მოსწავლე, კეთილშობილი ახალგაზრდა და დამაჯერებლად გამოხატა პატრივისტმა მოხუცი მუსიკოსებისადმი. ო. მათუნაშვილმა რელიეფურად გადმოსცა იოლი გამდიდრების გზაზე დამდგარი ახალგაზრდის უხეშობა და ზნეობრივი უბადრუკობა. დანარჩენი მონაწილეებიც გამოხსახველად ასრულებენ როლებს.

ასეთია ეს შინაგანად და გარეგნულად მრავალფეროვანი, ლამაზი სპექტაკლი.



სცენა სპექტაკლიდან „ძია ელიოზი“

## საინტერესო

## საქმთაქმი

## მოხარულებისათვის

თენგიზ თენიშვილი

საზრდად გაიზონებთ კეთილ სიტყვას მოხარად მაცუბელთა თეატრზე. და ეს ბუნებრივად არის. აქ ზომ-ახალგაზრდობის იდეური და ესთეტიკური ფორმირება, ჩვენი მომავალი თაობის სულიერი აღზრდა ხდება. ამიტომ არ შეიძლება მას უფრო ნაკლები მოეთხოვოს, ვიდრე თუნდაც რუსთაველის, მარჯანიშვილის ან სხვა თეატრს. პირიქით, ამ თეატრში იზრდება ჩვენი მომავალი თაობა, მომავალი მაცურებელი და ეს კი ბევრის დამავალდებელია.

ასეთი კრიტიკიუმიტი გვინდა მივუდეთ რ. მამულაშვილის პიესას „ძია ელიოზი“, რომლის დადგმა მოხარად მაცურებელთა თეატრში განახორციელა შ. გაწეულია.



რეისორი შ. გავრელია, პიესის ავტორი რ. მამულაშვილი

თავი ამოცანას. რევისორმა შ. გავრელიამ სწორად გაანაწილა როლები მსახიობთა შინაგანი პოტენცილის მიხედვით. ამიტომაც, რომ შემსრულებელთა უმეტესობა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

თავისი არსითა და ხასიათით აღმზრდელი ანზორის სახე ძია ელიოზის სიკეთისა და გულისხმიერების მსატრეული დაპირისპირებაა.

მცირეწლოვან დამნაშავეთა გამოსწორება და აღზრდა გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ანზორის წარმონუდგენია. ვ. ივანიძემ სწორად გადაწყვიტა მის წინაშე მდგარი რთული ამოცანა. მისი ანზორი შეზღუდული ინტელექტისა და უხეში ადამიანია. თავისი არსით იგი ეწინააღმდეგება ელიოზის გულისხმიერებას და სიკეთეს. სცენაზე გაშორებისთანავე იგრძნობა მისი უხეშობა. მშრალი ხმით,

თემა, რომელიც ავტორმა აირჩია (მცირეწლოვან დამნაშავეთა ცხოვრება), უთუოდ საინტერესო და შთაბეჭდავია. პიესა აგებულია ისე, რომ მაყურებელი უშუალო მონაწილე ხდება სცენური მოქმედებისა და იქვე მსჯელობს პერსონაჟების საქციელზე.

მთელი ნაწარმოები ექსპოზიციიდან ფინალამდე სასება ადამიანური განცდებით, რაც გარკვეულ შემოქმედებას ახდენს მაყურებლის გრძობასა და გონებაზე.

ავტორი აშუქებს ახალგაზრდების მიერ ჩადენილი შეცდომებისა და დანაშაულის შედეგს, სწორად არკვევს მშობლებისა და აღმზრდელების დამოკიდებულებას ახალგაზრდობისადმი. ამ აზრით ძია ელიოზი, მამუკას ბებია და დედა, აღმზრდელი ანზორი ჩამოყალიბებული და შთაბეჭდავი პერსონაჟები არიან პიესაში.

პიესა თავისი არსითა და იდეით არა მარტო მოზარდებისათვის არის განკუთვნილი, არამედ თავისუფლად გამოადგებოდა ყველა დრამატული თეატრის სცენას, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ადგილის სათანადო დახვეწის შემდეგ.

ამიტომ ბუნებრივია, როდესაც მოზარდ მაყურებელთა თეატრი ამ პიესას დასადგმელად იღებდა, უთუოდ გარკვეული სიმწლის წინაშე იდგა. სამეტკალში ხასიათების განაზ ისე უნდა განხორციელებულიყო, რომ ის, პირველყოფლისა, მისაწვდომი ყოფილიყო მოზარდი მაყურებლისათვის.

სამეტკალში ისევე, როგორც პიესაში, დაპირისპირებულთა დადებითი და უარყოფითი ხასიათები, ერთის მხრივ „ლოცენტისა“ და მისი მეგობრების, ხოლო მეორეს მხრივ — მამუკას მეგობრების სახით. ერთ მხარეზე არიან შემთხვევითი დამნაშავენი, ხოლო მეორე მხარეს უკვე საკმაოდ გაქნილი რეციდივისტები, რომლებმაც სრულიად დაკარგეს სინდისი.

„ძია ელიოზის“ შემქმნელმა კოლექტივმა კარგად გაართვა

უკმები გამომეტყველებით დამაჯერებლად გადმოსცემს მისი გმირის ხასიათს, განწყობილებას. ვ. ივანიძის ანზორი იმდენ შეცდომებს უშვებს ცხოვრებაში, რომ საპოლოოდ თვითონვე რწმუნდება — აღმზრდელთა მისი საქმე არაა...

ზოგჯერ მსახიობის კომიკურ მოქმედებაში ზომიერება ირღვევა. მაგალითად სცენაში, სადაც ანზორი პირველ ხელფასს აძლევს ნუჯარს, მსახიობი ცდილობს თავისი გმირის დამახასიათებელი სიმშრალისა და ინტელექტუალური სიბეცის გამოხატავად გარკვეული სატრეული ფორმა გამოანახოს. სამწუხაროდ, მისი ზედმეტად კომიკური, მაღალფარდოვანი ტონი და შესტები ყალბ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ მთლიანად მის მიერ კარგად შექმნილ იერსახეში ეს მცირე ხარვეზია, რომლის გამოსწორება მსახიობისათვის სირთულეს არ წარმოადგენს.

სულ სხვა ხასიათია ნუჯარი. ც. ცერცვაძის წინაშე იდგა ამოცანა — ერეწებინა მტად თავისებური, მშფოთვარე სულის ახალგაზრდის ხასიათი. უდვილად გაზრდილს და მამისაგან მიტოვებულ ნუჯარს ესმის, რომ აკლია მშობლიური მზრუნველობა. რაკი მამამაც გასწირა და მიატოვა, მას ყველა მტრად მიაჩნია. თავის აღმშოფთვებს ყველასადმი ზიზღით და უნდობლობით გამოხატავს. მხოლოდ მამუკაში ხედავს ნათელ ამიტომ და ნამდვილ მეგობარს.

მსახიობი კარგად ფლობს სხეულს და ხმას, რაც მას ეხმარება ხასიათის გადმოცემაში. ლოგიკური თანამიმდევრობით მიჰყავს თავისი გმირი ფსიქოლოგიური გარდატეხისაკენ და ამიტომ ბოლომდე დამაჯერებელია.

სასურველია უკეთესად დამუშავდეს ნუჯარისა და მამუკას ქალიშვილთან შეხვედრის სცენები. გულკეთილი, მტრმონიარე, ამყლი და იმავე დროს ოდნავ ეგოისტური ყმაწვილის იერსახე შექმნა თ. სეთურიძემ.

მისი მამუკა განსაკუთრებით გულწრფელი და მიმზიდველია, როდესაც მეგობრებისა და თავისი ყოფაქცევის აგვარებინაზე მსჯელობს.

ო. სეთურიძის მამუკა შეძრწუნებული და გაოგნებულია, როდესაც შემთხვევით იგებს ნამდვილი დედის ამბავს. ამ სცენაში, მისი ხმა, გამომეტყველება და ვესტები განსაკუთრებით შესატყვისება მისი გმირის შინაგან მდგომარეობას, ნათლად გადმოგვცემს გულისხმიერი და მგრძობიარე ყმაწვილის ფსიქოლოგიურ არსს.

თავისებურად რთულ ამოცანას წარმოადგენდა ო. სეთურიძისათვის თხრობიდან მოქმედებაზე და შერე ისევ თხრობაზე გადასვლა, ან მოგონების სცენური განსახიერება. ამისათვის მსახიობს უხდება პატიმრის ზედა ტანსაცმლის გახდა და ავანსცენიდან სცენის სიღრმეში გადანაცვლება, შემდეგ კი ისევ ტანისამოსის ჩაცმა და ავანსცენაზე გამოსვლა.

